



N 30, 2021

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
უკრაინისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აშშ-ისა და გერმანიის მიერ რუსულ გაზსადენთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას აკრიტიკებენ.....	2
ლუკაშენკო აზერბაიჯანს ნავთობით მომარაგებისთვის მადლობას უხდის.....	2
ელექტროენერგეტიკა .....	3
საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 9.3%-ით გაიზარდა .....	3
"საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯია 2,8-ჯერ გაიზარდა" ....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
„ტოიოტა თსუშო“ საქართველოში „მწვანე წყალბადის“ წარმოებით დაინტერესდა - სამინისტრო .....	4
სომხეთში ქვეყანაში ყველაზე დიდი მზის ელექტროსადგური აშენდება.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
ირაკლი ქარსელაძე: ნარჩენების მართვისთვის 6 რეგიონული, თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ცენტრი აშენდება .....	6
მთავრობა კოლხეთის პარკთან ტორფის მოპოვების განახლებას აპირებს .....	7
პუბლიკაციები.....	7
ღონისძიებები .....	8

## ნავთობი და გაზი

### უკრაინისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აშშ-ისა და გერმანიის მიერ რუსულ გაზსადენთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას აკრიტიკებენ

უკრაინისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აშშ-ისა და გერმანიის მიერ რუსულ გაზსადენთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას აკრიტიკებენ. ერთობლივ განცხადებაში დიპლომატები ამტკიცებენ, რომ ბერლინისა და ვაშინგტონის გარიგება რუსეთს დესტრუქციული გავლენის მოსაპოვებლად ახალ შესაძლებლობას გაუჩენს.

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“-მა შექმნა დამატებითი პოლიტიკური, სამხედრო და ენერგეტიკული საფრთხეები უკრაინისა და ცენტრალური ევროპისთვის“, – ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ, დმიტრი კულებას და პოლონეთის მთავარ დიპლომატ ზბიგნევ რაუს ერთობლივ განცხადებაში.

კიევსა და ვარშავაში მიიჩნევენ, რომ აშშ-სა და გერმანიის შეთანხმება რუსეთს ევროპაზე ზემოქმედებისთვის მეტ ბერკეტს გაუჩენს.

შეგახსენებთ, რომ მანამდე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა და ბერლინმა რუსული გაზსადენის თაობაზე დავა დაასრულეს და კომპრომისული შეთანხმება გააფორმეს.

<https://cutt.ly/hQjtfKs>

### ლუკაშენკო აზერბაიჯანს ნავთობით მომარაგებისთვის მადლობას უხდის

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანულ მხარეს, დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგობის მიუხედავად, ნავთობით მომარაგებისთვის. სააგენტოს BelTA-ს ცნობით, ლუკაშენკომ აღნიშნულის შესახებ ორშაბათს, ბელორუსში აზერბაიჯანის ელჩთან ლატიფ განდილოვთან შეხვედრისას განაცხადა.

“მადლობა ბელორუსის ნავთობპროდუქტებით მომარაგებისთვის. თქვენ არაჩვეულებრივები ხართ, დასავლეთის სახელმწიფოების ზეწოლის მიუხედავად, შეასრულეთ თქვენი სიტყვა. აღნიშნული თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ძვირი ჯდება” – აღნიშნა ლუკაშენკომ.

“აზერბაიჯანს შეუძლია ბელორუსის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ შეთანხმებები, რომლებიც მიღწეულ იქნა ჩემი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს აზერბაიჯანში” – დაამატა მან.

2020 წელს აზერბაიჯანი გახდა მსხვილი ნავთობის ალტერნატიული მიმწოდებელი ბელორუსის რესპუბლიკისთვის, რუსული კომპანიების მიერ ნედლეულის მომარაგების დროებითი შეჩერების შემდეგ. აზერბაიჯანმა დაახლოებით 1 მილიონი ტონა ნავთობი მიაწოდა ქვეყანას; 2021 წელს აღნიშნული შესყიდვები გაგრძელდა.

<https://cutt.ly/sQjthkR>

## ელექტროენერგეტიკა

### საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 9.3%-ით გაიზარდა

საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება იზრდება. 2021 წლის პირველ ნახევარში ქვეყანამ სულ 6.67 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერჯია მოიხმარა, რაც 2020 წელთან შედარებით 9.3%-ით მეტია. მოხმარებული ელექტროენერჯის მატება ქვეყანაში გააქტიურებულ ეკონომიკურ აღდგენაზე მეტყველებს.

უფრო კონკრეტულად, 2021 წლის პირველ ნახევარში თბილისის მოსახლეობამ, ანუ "თელასის" აბონენტებმა 1.36 მილიარდი კილოვატ საათი მოიხმარეს, ხოლო დანარჩენი რეგიონების მოსახლეობამ, ანუ "ენერჯო პრო ჯორჯიას" აბონენტებმა 2.2 მილიარდი კილოვატ საათის ელექტროენერჯია.

ესკო-ს ინფორმაციით, 1.58 მილიარდი კილოვატ საათის ელექტროენერჯია მიეწოდა წელს ოკუპირებულ აფხაზეთს, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი მთელ თბილისზე მეტ ელექტროენერჯას მოიხმარს.

1.5 მილიარდი კილოვატ საათი იყო ე.წ. "პირდაპირი მოხმარებლების", ანუ მსხვილი კერძო კომპანიების მიერ მიღებული ელექტროენერჯის მოცულობა წლის პირველ ნახევარში. მათ შორის ყველაზე მეტ დენს კომპანია "ჯორჯიან მანგანეზი" მოიხმარს, რომელმაც 603 მილიონი კილოვატ საათის მოცულობის ელექტროენერჯია მიიღო, რაც მთლიანად საქართველოს ელექტრომოხმარების 9%-ს შეადგენდა.

<https://cutt.ly/9QjtjNs>

### "საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯია 2,8-ჯერ გაიზარდა"

განახლებადი ენერჯიების განვითარების ასოციაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ინტერ რაოს" ოფიციალური პრესრელიზის მიხედვით, 2021 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ექსპორტი 10,24 მლრდ კვტ/სთ-მდე გაზარდა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე თითქმის ორჯერ მეტია.

'რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის ყველაზე დიდი მატება ფიქსირდება ფინეთში, სადაც იმპორტი 2,4-ჯერ გაიზარდა, ბალტიის ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 2,1-ჯერ არის გაზრდილი და საქართველოში, სადაც იმპორტმა 2,8-ჯერ იმატა, - აღნიშნავს კომპანია.

იმპორტის ზრდა, ამ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მეტად საქართველოზე აისახა.

ამის პარარელურად კი, ჩინეთმა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთიდან 7.2%-ით შეამცირა. რუსეთიდან ელექტროენერჯის ექსპორტის აღნიშნული მონაცემები ზამთრისა და ადრეული გაზაფხულის პერიოდში ფიქსირდება, რის შემდეგაც ბალტიის ქვეყნებმა, 2021 წლის აპრილს, პირველად თქვეს უარი რუსეთისგან ელექტროენერჯის შესყიდვაზე. 2025 წლისთვის კი ბალტიისპირეთი მთლიანად ევროპულ ქსელზე გადავა.

ისეთი ქვეყნები, როგორცაა ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, პოლონეთი, ჩინეთი და უკრაინა, რომლებიც უკვე ათწლეულებია რუსული ელექტროენერჯით მარაგდებიან, რუსეთიდან ელექტროენერჯის შესყიდვაზე უარს აცხადებენ ან მაქსიმალურად ამცირებენ

იმპორტს. ასეთ პირობებში საქართველო, ელექტროენერჯის ექსპორტის მხრივ, რუსეთისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება.

ელექტროენერჯის ისედაც მზარდი იმპორტის ფონზე, აუცილებელია საქართველომ განვითარებული ქვეყნების მაგალითი და გამოცდილება გაიზიაროს და რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების ზრდის რისკები სათანადოდ შეაფასოს, რადგან რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, პირველ რიგში, ენერგეტიკული ბერკეტებით პოლიტიკურ ზეწოლას გულისხმობს.

აღნიშნულს ადასტურებს 2014 წელს გამოქვეყნებული რუსეთის ენერგეტიკული დოქტრინაც.

6-წლიანი ენერგეტიკული დოქტრინის თანახმად, ევროპაში აქტუალურია რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირება, რადგან ის არასანდო პარტნიორად მიიჩნევა. ამის საპირწონედ, შემცირებული გაყიდვების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს რეგიონისა და განვითარებად ბაზრებზე ექსპანსიით, სადაც ეკონომიკა და ენერგომოთხოვნა შესაბამისად მზარდია.

შექმნილ ვითარებაში, რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს ან გარკვეული დროით შეაფერხოს პოსტსაბჭოთა სივრცეში იმ ახალი პროექტების განხორციელება, რომლებიც მასზე ენერგოდამოკიდებულებას შეამცირებს.

საქართველოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, დიდი უპირატესობა გააჩნია: საკუთარი განახლებადი ჰიდრო, ქარისა და მზის რესურსების პოტენციალის ათვისებით შეავსოს არსებული ენერგოდეფიციტი და ამით საბოლოოდ გაიმყაროს ენერგოუსაფრთხოება, გახდეს რუსეთისგან მთლიანად ენერგოდამოუკიდებელი, შედეგად კი, რუსეთს საქართველოზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი გამოაცალოს" - ნათქვამია ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

<https://cutt.ly/IQjt151>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### „ტოიოტა თსუშო“ საქართველოში „მწვანე წყალბადის“ წარმოებით დაინტერესდა - სამინისტრო

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, იაპონიაში ერთ-ერთი მსხვილი კორპორაცია „ტოიოტა თსუშო“ საქართველოს ენერგეტიკითა და ე.წ. „მწვანე წყალბადის“ წარმოებით დაინტერესდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა იაპონური კორპორაციის „ტოიოტა თსუშოს“ (Toyota Tsusho Corporation) დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ასევე მინისტრის მოადგილეები გენადი არველაძე და ირაკლი ნადარეიშვილი, აგრეთვე იაპონიის ელჩი საქართველოში იმამურა აკირა ესწრებოდნენ.

უწყების ცნობით, აღნიშნული კორპორაცია, რომელიც „ტოიოტა ჯგუფის“ შემადგენლობაში შედის, მსოფლიოს 120 ქვეყანაში საქმიანობს და 66.000-ზე მეტი დასაქმებული ჰყავს.

შეხვედრაზე მინისტრმა იაპონელ სტუმრებს საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციებისა და საინვესტიციო და საქმიანი გარემოს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, საქართველოსა და იაპონიას შორის არაერთი შეთანხმება მოქმედებს, რომელიც ორმხრივი ეკონომიკური კავშირების უფრო მეტად განვითარებისკენაა მიმართული.

შეხვედრაზე „ტოიოტა თსუშო“-ს წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს საქართველოს ენერჯეტიკითა და მათ შორის, ე.წ. „მწვანე წყალბადის“ წარმოებით. ითქვა, რომ ამ მხრივ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს.

“იაპონიის მსხვილი კორპორაციები ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საქართველოში ინვესტირების განხორციელების მიმართულებით. სწორედ საინვესტიციო გეგმებს მიეძღვნა დღევანდელი შეხვედრა. „ტოიოტა ჯგუფი“ საქართველოს ბაზარზე უკვე არის წარმოდგენილი, თუმცა შესაძლოა, ეს კომპანია ასევე გახდეს ინვესტორიც, რომელიც დაინტერესებულია ენერჯეტიკით, მათ შორის, მწვანე წყალბადის წარმოებით. ჩვენ ამ ინოვაციურ მიმართულებას ვავითარებთ და ვფიქრობთ, რომ საპილოტე პროგრამის განხორციელებას შევძლებთ,“ - განაცხადა მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

საქართველოში იაპონიის ელჩის იმამურა აკირას განცხადებით, „ტოიოტა თსუშო“ იაპონიის უდიდეს სავაჭრო კომპანიებს შორისაა და ოპერირებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ქარხნების მშენებლობა, ენერჯეტიკის განვითარება, ფინანსები, ლოგისტიკა და სხვ. ელჩის თქმით, კომპანია დაინტერესებულია საქართველოში ინვესტირებით, რადგან ქვეყანას აქვს პოტენციალი, იყოს პარტნიორი სამომავლო ბიზნეს-ურთიერთობებში, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯის მიმართულებით. იაპონელმა დიპლომატმა ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ შეთანხმებაზე ინვესტიციების ურთიერთდაცვის შესახებ, რომელიც მცირე ხნის წინ ამოქმედდა.

„იაპონიის მთავრობა მზადაა, მხარი დაუჭიროს იაპონური კომპანიების ამ აქტივობას სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი - საქართველოში. შეხვედრაზე დღეს ჩვენ განვიხილეთ მრავალი პერსპექტივა, იდეა და, ასევე, ამ იდეების უახლოეს მომავალში განხორციელების გზები,“ - განაცხადა იაპონიის ელჩმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

<https://cutt.ly/4QjtcTR>

## სომხეთში ქვეყანაში ყველაზე დიდი მზის ელექტროსადგური აშენდება

სომხეთის მთავრობა ქვეყნის მასშტაბით, მზის ორი ახალი ელექტროსადგურის აშენებას აანონსებს. გეგმის განხორციელების შემდგომ, სომხეთის მიერ მოპოვებული განახლებადი ენერჯის მარაგი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მიმდინარე თვეში სომხეთის მთავრობამ არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში 2025 წლის ბოლომდე განახლებადი რესურსების კომპანია Masdar-ის მიერ პირველი ელექტროსადგური აშენდება.

Ayg11-ი, 200 მეგავატი სიმძლავრის, შესაბამისად, სომხეთისთვის ყველაზე დიდი მზის ენერჯის ელექტროსადგური იქნება. სომხეთის მთავრობის ცნობით, ელექტრო-სადგურების მშენებლობის ინიციატორი თავად Masdar-ი იყო. მასვე ჰქონდა უფლება

მთავრობის მიერ გამოცხადებული ტენდერის პროცესში შემოთავაზებული ტარიფები გაეკონტროლებინა. საბოლოოდ Masdar-ი და სომხეთის მთავრობა 200-მეგავატთან ელექტროსადგურის მშენებლობაზე შეჯერდნენ, კილოვატსაათის ფასი კი 0,0290 აშშ დოლარამდე შემცირდა.

ახალი ელექტროსადგური სომხეთის ცენტრალურ ნაწილში, არაგაწოტნის პროვინციის ტერიტორიაზე, 500 ჰექტარზე აშენდება. ელექტროსადგურის 15% სომხეთის ეროვნული ინტერესების ფონდის, ხოლო 85% Masdar-ის მფლობელობაში იქნება. Masdar-ი პროექტში 174 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, რაც რეგიონის მასშტაბით „მწვანე რესურსში“ ჩადებული ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია იქნება.

აღსანიშნავია, რომ მზის ენერჯის წარმოება 2017 წელს 0,4 მილიონ კილოვატსაათს შეადგენდა, ხოლო 2020 წლისთვის 56,5 მილიონ კილოვატსაათამდე გაიზარდა. 2021 წლის მარტში, ესპანურ ფირმასთან თანამშრომლობით კიდევ ერთი მზის ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება, რომელიც Ayg11-ის მერე სიდიდით სომხეთში მეორე ელექტროსადგური იქნება.

<https://cutt.ly/zQjtv5D>

## კლიმატის ცვლილება

### ირაკლი ქარსელაძე: ნარჩენების მართვისთვის 6 რეგიონული, თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ცენტრი აშენდება

ნარჩენების მართვა ნამდვილად არის ის გამოწვევა, რომლისთვისაც სამობილიზაციო და მზადყოფნის სამუშაოები უკვე ჩატარებული გვაქვს, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ „ქრონიკაში“ განაცხადა.

„6 რეგიონული, თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ცენტრი აშენდება, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში სრულად ჩაანაცვლებს 54-ვე ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს. ყველას გვახსოვს ის ნაგავსაყრელები, რომლებიც არა მხოლოდ ესთეტიკურობის თვალსაზრისით, არამედ ჯანმრთელობისთვისაც კი სახიფათო იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ გარემოზე ზემოქმედების ნაწილზე. სწორედ ამ ყველაფერზე პასუხის ნაწილია ის 6 ახალი რეგიონული ცენტრი, სადაც უკვე „ოსმო“ სისტემის გამოყენებით მოხდება ნარჩენების მართვა. ეს სისტემა მოქმედებს ისე, რომ არც სუნის, არც ქარის მიერ გადატანილ სხვა აირების გაფანტვა არ ხდება და ყველა ის ტექნოლოგიურ გამოწვევა, რომელიც ძველ ნაგავსაყრელებთან მიმართებით იყო, ამ ახალი რეგიონული ცენტრებით სრულად იქნება დაცული“, – აღნიშნა ქარსელაძემ.

მისი თქმით, ასევე საუბარია ახალ ტექნოლოგიებზე, აღჭურვილობასა და შესაბამისი კომპეტენციების კვალიფიკაციების ამაღლებაზე. „რაც შეეხება ნარჩენების გადამუშავებას, ჩვენ ღია ვართ და პირიქით ძალიან საინტერესო იქნება კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა გადამამუშავებელ წარმოებებთან დაკავშირებით. არის სხვა და სხვა ტიპის

კომუნიკაცია და რა თქმა უნდა ჩვენ ამას მივესალმებით. სეპარაციაა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც ასევე ვმუშაობთ და რომელიც მთლიანობაში აუცილებლად გასაკეთებელია. შეიძლება ითქვას, რომ 2012 წელთან შედარებით 100-ჯერ არის გაზრდილი ინვესტიცია. 550 ათასი ლარი იყო გამოყოფილი 2012 წელს ნარჩენების მართვასთან მიმართებით და 55 მილიონი გვაქვს უკვე. 613 მილიონი, რომელიც მომდევნო 10 წელიწადში უნდა დაიხარჯოს, სრულად მოიცავს დარგის სრულ დარეგულირებას“, – განაცხადა ქარსელაძემ.

<https://cutt.ly/hQitnkA>

## მთავრობა კოლხეთის პარკთან ტორფის მოპოვების განახლებას აპირებს

წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის ეროვნულ პარკთან ტორფის წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების აუქციონი გამოაცხადა.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა ტორფის შესწავლა-მოპოვების დაწყებასთან დაკავშირებული ლიცენზიის შესაძლო გაცემას, რომ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს სააგენტოს მოთხოვნა, რომ ტორფის მოპოვების დაწყებამდე ჩატარდეს ჰიდროლოგიური, ქიმიური და გარემოზე ზემოქმედების კვლევა, ხოლო მოპოვება დაიწყება მას შემდეგ, რაც აღნიშნული კვლევებს განიხილავს და შეაჯერებს სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წიაღის ეროვნული სააგენტოსადმი 4 მაისს გაგზავნილ წერილში წერია, რომ წარსულში აღნიშნულ ტერიტორიაზე ტორფის მოპოვებამ დააზიანა პალიასტომის ტბის ეკოსისტემა. ასევე, ის საფრთხეს უქმნის ქ. ფოთის განაპირა ტერიტორიების ეკოლოგიურ წონასწორობას.

კოლხეთის ეროვნული პარკი მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების IUCN მეორე კატეგორიას. 1997 წლიდან მას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს მიგრირებად, მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არელების დაცვას.

ტორფი საუკუნეების განმავლობაში წარმოიქმნება ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად. მას იყენებენ საწვავად, სასუქად და სხვა მიზნებისათვის.

<https://cutt.ly/dQjtmza>

## პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)



წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

### **მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021**

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

### **ICSD 2021 : მე-9 საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე**

თარიღი: 08–09 სექტემბერი, 2021

ადგილი: რომი, იტალია

თემები: კლიმატი, განახლებადი ენერჯია, წყლის და ნიადაგის კონსერვაცია

<https://www.eceee.org/events/calendar/event/icsd-2021-9th-international-conference-on-sustainable-development-8-9-september-2021-rome-italy-1/>

### **მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021**

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021\\_4,en,2,1,13.html](https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021_4,en,2,1,13.html)

### **მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე**

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

### **მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე**

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა “Kostis Palamas”

<https://promitheasconference.wordpress.com/>